ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

თავმჯდომარის მოადგილის კარლო წილოსანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის 2025 წლის 1 იანვრიდან გაწეული მუშაობის ანგარიშს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით, კ. წილოსანი

27.10.2025 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის კარლო წილოსანის 2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის

ანგარიში

მე, კარლო წილოსანი 2020 წლიდან ვარ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ლანჩხუთის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკრებულოში 2021 წლიდან ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ორი კომისიის „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ წევრი.

როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი და ,,ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან და მოზარდებთან ვარ კომუნიკაციაში.

მიმდინარე წელს, დიდთოვლობის გამო საკმაოდ რთული ვითარება იყო გურიაში. ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან და შესაბამის უწყებებთან ერთად აქტიურად მივიღეთ მონაწილეობა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფაში.

რეგულარულად ვხვდები ახალგაზრდებს და მათი მოთხოვნის შესაბამისად ვაწყობთ სხვადასხვა სპორტულ თუ აღმზრდელობით ღონისძიებებს. საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, გურიის რეგიონში ჩატარდა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი, კამპანია „არა ნარკოტიკს“ ფარგლებში, რომელშიც I საპრიზო ადგილი ლანჩხუთის გუნდმა დაიკავა.

ჩემპიონატი ასევე მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და ნარკოტიკებზე უარის თქმის წახალისებას სპორტის მეშვეობით!

სიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გრიგოლეთში ჩატარდა „ლანჩხუთის ახალგაზრდული ფესტივალი“. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა გასართობი და სპორტული აქტივობები.

მაჩხვარეთის ახალგაზრდების და მოსახლეობის მოთხოვნა იყო - სტადიონის მოწყობა, რის გამოც მოძიებული იქნა ფინანსები, ამჟამად შემოიღობა სტადიონი და მიმდინარეობს ხელოვნური საფარის დაგება.

რაც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებას განხორციელდა რიგი პროექტები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორაგვეში, მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა. დაიგო ასფალტის საფარი. ტურისტებისთვის მოეწყო სველი წერტილები და დასასვენებელი ადგილები. დაიგო ველო ბილიკი და მოეწყო „ზიპლაინი“.

მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ტექნიკური წყალია. რთული მდგომარეობაა ზაფხულის პერიოდში, დაწყებულია სამუშაოები, რომ წლის ბოლოსთვის სრულად იყოს უზრუნველყოფილი 24 საათიანი სასმელი წყლის მიწოდება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჯურუყვეთსა და ნიგვზიანში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ამბულატორიები გაიხსნა.

ქალაქ ლანჩხუთში ჩატარდა ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, ჭავჭავაძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი), რ. ებრალიძის, საფო მგელაძის, ჩაჩავას და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია;

ქ. ლანჩხუთში დაიწყო სპორტული დარბაზების მშენებლობა.

ჯურუყვეთში განხორციელდა ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაცია.

მაჩხვარეთის, ჩიბათის, ღრმაღელის, სუფსის და ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მშენებლობა.

აშენდა ახალი საბავშვო სააღმზრდელო ცენტრები: აკეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ნინოშვილის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სრულდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

დასრულების ფაზაშია ჩოჩხათის, ნიგვზიანის, ჯურუყვეთის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზმომარაგების სამუშაოები. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი იქნება ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური 2025 წელს ახორციელებს 24 სოციალურ პროგრამას.

აღსანიშნავია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ ბავშვის უფლებების დაცვის მხარდაჭერა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამით ისარგებლა შეჭირვებულმა მოსახლეობამ; ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ონკოპაციენტთა მხარდაჭერის პროგრამა.

2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე აქტიურად ვარ ჩართული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიების მუშაობაში.

სამომავლოდ, სურვილი მაქვს აქტიურად ჩავერთო ადგილობრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, სხვადასხვა ინფრასტუქტურულ და სოციალურ პროექტების განხორციელებაში.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

თავმჯდომარის მოადგილე: კ. წილოსანი /კარლო წილოსანი/